

645  
1981

0321-1509

ՀԱՅԿՍՏԱՆԻ  
ՇՈՒՆԱՊՈՒՅՑ



# ԿԵՆՏՐՈՆ

ՀԱՅԿՍՏԱՆԻ ԿՈՄՄՅՈՒՆԻՍՏԱԿԱՆ ԿՊԱՅԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ  
№ 9 1981 6





მოთუშეთი ზეიმობს თავის აღორ-  
ძინებას, განახლებას.

სხალხო ზეიმში მონაწილეობდნენ  
სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-  
ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქარ-  
თველოს კომპარტიის ცენტრალური  
კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შუ-  
ვარდნაძე, სკკ ცენტრალური კომიტე-  
ტის პროპაგანდის განყოფილების გამგე  
ე. შ. ტიაფელინიკოვი, ამხანაგები გ. ნ.  
ენუქიძე, ზ. ა. პატარძე, ჯ. ი. პატია-  
შვილი, საქართველოს კომპარტიის ცენ-  
ტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და  
აგიტაციის განყოფილების გამგე ე. კ.  
შარტავა.

„საქართველოს კალი“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხა-  
ტრულ-ლიტერატურული თურნალი



«САКРТВЕЛОС КАЛИ»  
Ежемесячный общественно-политический  
и художественно-литературный журнал  
ЦК КП Грузии





6796

# გაგარჯობა, ჩემო თუშეთო!

კოკისპირულად წვიმდა — „ცა ფეხად ჩამოდიოდა“. ჩვენი „ვიგულო“ შინც ჯიუტად კვებდა შავად მოლაპლავ გზას. შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, ახმეტაში რომ მივედიო. პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა უჩა ჯაფარიძემ სანუგეგმო ვერაფერი გვითხრა: შთიდან ზეაგები დამძრულიყო და თუშეთი-საკენ მიმავალი ავტომანქანებისათვის გზა მოეჭრა. გაშმაგებულ მდინარე სტორს თორღვას აბანოსთან ხიდის ბურჯი გადაერყვცხა.

იმედი გადაგვეწურა: ასეთ ამინდში თუშეთში ასვლაზე ფიქრიც კი მკრუხელობა იყო.

თუშეთი ბავშვობიდანვე ოცნებად მექცა. თითქმის ყოველ გაზაფხულზე, მამაჩემი შეპყრავდა ხოლმე ბარგი-ბარხანას და მთელი ორი-სამი თვით სადაღაც გადაიკარგებოდა. ნაივლიდა და დაგვიტოვებდა გაუთავებელი ლოდინით განვრილებულ დღეებს. შემოდგომაზელა ბრუნდებოდა შინ — დაღლილი, წვერმოშუებული, გამხდარი. მუსხზე შემოიშინებდა და მიამბობდა კაკეასიონის მთებში მიკარგული თუშეთის ამბავს, სადაც, თურმე, მას და მის მეგობრებს სამაქნაქნე გზა გააყვადათ.

გზის მშენებლობას კი არა და არ დაადგა საშველი, ბართა და ნერაქეთი ძნელი იყო შთის ქანებთან, ზეაგებთან და ჩანჩქერებთან ჭიდილი. ხან აქ და ხან იქ ავად შეტორტმანდებოდა ხოლმე უხარმაზარი შთა, აგორდებოდა თოვლისა და ქვა-ღორღის უშველებელი გუნდა, ზართთა და ღრიალით ჩაებთქებოდა ხახადაღებულ უფსკრულელები და ჭაპანწყვეტილ ნაშენებ გზასაც თან ჩაიტანდა.

მერე სულ მივიწყეს თუშეთი. უგზობით განაშებულმა შთივლებმა ბარს მიაშურეს. მაგრამ შშობლიური შინა-წყლიდან შათი აყრის მიზეზი მარტო უგზობა როდღ იყო: ზამთარ-ზაფხულ ცხვარი უტრიალებდა თუში კაცი, ცხვარი იყო მისი სარჩო-საბადებელი, ცხოვერების მიხანი და პური არსობისა. ცხვარი აცმევდა და ცხვარი ჰკვებავდა მის მრავალრიცხოვან ოჯახს. ერთ დღეს კი გამოუცხადეს: 5-10 სულზე მეტ ცხვარს ნუ იყოლოებთ, არ შეიძლებაო. და თუშეთიდან თანდათან იკლო ხორცმა, მატყლმა, გუდის ყველმა, ერბომ, კარაქმა, ჩითებმა და ხალიჩებმა. თვალსა და ხელს შუა დადნა ბარაქა. გაუჭირდათ ადამიანებს. გულგატეხილებმა ნაბეგები და კომბლები მიყარ-მოყარეს, კარი გამოეკეტეს და ბარისაკენ იბრუნეს პირი.

საქ. სსრ კ. მარტ. საბ. სახ. რესპუბ. ზინალოთენა

დაიკლა ომალო და შენაქო, დიკლო და ვესტმო, ილურთა, დაქუ, ბოქორნა, ხახაბო... გაპარტახდა სიბით ნაშენი სახლები, შამბო მოედო ეზოებს. მხოლოდ გახაფულზე ამოკავადეთ მეურნეობის ცხერის ფარები, თითადე დადაპენტებოდა მწვანედ მოხახსავ ფერფლებით. შემოდგომის დადგენა გამრავლებულ-გალღებულ ცხერ-ბატკანი ისევ ბარისაკენ იბრუნებდა პირს და თან მიჰქონდა კარგამოკეტილი სოფლების სედა...

როგორც იქნა, გათენდა 11 ივლისის შუთიანი ღამე. ვითომც არავინ მომხდარიყო, ისევ იქ ამოიბრუნა ბრდელია მზე, თუმცა თუშეთის მთებს ისევ ჯანლი და ნისლი დასწოლოდა. „წააღოთ თუ არა თუშეთში?“ — ყველას ეს ერთი კიბოვა გეტირებოდა თავში, როცა თელავის აეროპორტის უფროსმა გამოცხადა, ომალოსკენ თვითფრინავი ვერ გაფრინდება.

ყველაფერი ერთი ადამიანის სიტყვაზე იყო დამოკიდებული და იმ ადამიანაც მტკიცედ თქვა:

— ომალოლები გველიან, მოლოდინის ღალატი კი არ შეიძლება, უნდა წავიდეთ.

და „ნივების“ და „კოლხონიკების“ ქარავანიც დაიძრა. ვერაფერა — ვერც ღრუბლებში თავშეკვლამა, სამკეტომტერინანი სიმაღლის უღუტებობამა, ვერც ნისლამ და ქარაშობამა ვერ შეკავა ომალოსაკენ დაძრული ხალხი. მშვიდობიანად გავიარეთ გახუფებული ნივებით მოდიფიკული ხეხ-ხუფები, სამიში მოხახვი და შეკიდებული აღმართები, ბურჯგადარცხილი თორღვას აბანოს ხიდი და აქაფებულ თუშეთის ალაზანს მივადექით.

„ნივები“ და „კოლხონიკები“ ალაზნის ქალაში დატოვეთ და მძლავრი ორღურძიანი ავტომანქანებით ომალოსაკენ დავიძარით.

მხოლოდ მეორე დღეს, როცა აღმანათენი, დაღლილი, მაგრამ სასიამოვნო შთაბეჭდილებებით ყელამდე ხასენი უკან ებრუნდებოდით, ვიგრძენით, რა დიდი რისიკო გავენით, მაგრამ, ღმერთმანი, მარტო იმ სიხარულისთვის ღირდა თავის გადადგმა, ომალოლებს იქ ასვლით რომ მივანიჭეთ. ამ ხალხს განუზომელი იმედი და რწმენა ჩაუსახლა გულში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს ნევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანის ე. ა. შვეარდნაძის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის ე. მ. ტიაგუნაიკოვის, ამხანაგების გ. ნ. ენუქიძის, ზ. ა. პატარიძის, ჯ. ი. პატაშვილის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ე. კ. შარტავას, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების, ქართველი მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეთა სტუმრობამ!

...ბედმა პირველად თვარმტკიოდ წლის წინათ მომხავედრა ახმეტაში. თითქმის რვა წელი დავაკვირ იქ და მხოლოდ ერთხელ, ჩემი მეგობარი დასტაქარის გენი დოლიძის წყალობით, ვერტმფრენით აუდი ომალოში. იქ მოუთმენლად გველოდნენ. გველოდა მწვავე პანდემიკისაგან გასაფრთხილები პატარა ბიჭვანა. ათიოდე წუთში „რკინის არნივმა“ ომალოს თავზე ისევ კამარა შეჰკრა და ახმეტაში დავაბრუნა.

პატარა საციენტო გვიარად მგონი ბილიოდე იყო. ოპერაციაში მშვიდობიანად ჩაიარა. მე არ ვიცი, როგორ ნარიმართა იმ ბიჭის ბედი — ბარში დარჩა თუ ისევ მთას დაუბრუნდა, მაგრამ ერთი კი მტკიცედ მწამს: ის არასოდეს უღალატებს თავის საოცნებო თუშეთს და ვინ იცის, კვებ ჩვენი ერთური მასპინძელი ისიც იყო!

ახმეტის რაიონში თუშებს ორი დიდი და ღამაში სოფელი აქვთ — ხემო ალავანი და ქვემო ალავანი. ათეულ ათასობით ცხვარს ითულის საბჭოთა მეურნეობების ფარები, ბალ-ვენახებს ხომ თვალი ვერ გასწვდება. ბარად დამკვიდრებულ თუშებს არაფერი აკლათ. და მინც, ნუ გაგვიკორდებთ, თუ მათ ხმაში ფარულ სედას შენიშნავთ: აბა, მოუხსინეთ, რამდენ ტკივილს და მამა-პაპური კურის მიტკობით დაგუბებულ სედას იტყვს პოეტ ფრანაოზ რაინაულის ლექსი „ბერი მოსთქვამთ, — გულს ენთო, ავამპე, ბედის ტრიალო, მშვიდობით, ჩემო თუშეთო, როდისღა გნახავ, ტიალო!..“

როდისღა გნახავ...

ახმეტაში ერთი მოხუცი მეზობელი მეყავდა, ოთხმოცდაათი მტანებული დავით სისაური. სანამ მუხლი მოსდევდა, თუშეთს არ მოსცილებია. მერე თვალის ჩინი დააკლდა და შეიღმა პარკში ჩამოიყვანა. პაპა დავითი დაუფრავი სედადით ირინებდა თავის ყმანდილკაცობას, თავის ვესტმოსა და ჩილის

— შეიღო თავს მეველამ და რძლივც, მაგრამ... ტიალი გული დამიმძიმდა, უთუშეთოდ მოინყინა. თუშეთს კი ვეღარ ვიხილავ, ვეღარ... — დანანებით ჩაჰკიდებდა თავს.

ბევრჯერ მინახება: მუსხ მფიციხებელი დავითი უფერად შეკრებოდა, ჯიხს დაბეჭდვდა და ტყეტიად ნამოდგემოდა. შემეცდარად პირს თუშეთისაკენ იბრუნებდა და ასე გარინდებული იდგა საათობით. ვინ იცის, რა მოგონებები რეკდა ამ დროს მის გულში, რა უხიჯავი ძაღა ენებდა, იქ, მთებში მიკარავული პატარა სოფლებისკენ, სადაც მისი უკანმოუზრუნებელი ბაღლობა და ყმანდილკაცობა დარჩა...

სამწუხაროდ, მოხუცს გაუმართლდა წინათგონობა და ისე ჩავიდა სამარეში, რომ თავისი სათაყვანო თუშეთი ვეღარა ნახა. სამაგიეროდ, სხვადა, უფრო ახალგაზრდები კვლავ მოუბრუნდნენ სათიბ-სამოურებას, სახეხვევებს და მორატკრეკ წყაროებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მთიანი რეგიონების აღორძინებისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა თუშეთსაც დიდი სიკეთე მოუტანა. 1981 წლის 11 ივლისი შემობრუნების თარიღია თუშეთის ისტორიაში. სწორედ ამ დღეს ომალოში შედგა სახალხო დემუტატობა საბჭოს მჭვიდმეტე შონეევის მებუფ სესია, რომელმაც საბჭოს თავმჯდომარედ ორნედასამი წლის ვაკეკი გერმანე სისაური აირჩია.

ახალ ცხოვრებას ახალი გზით იწყებს თუშეთი. „თბილგვირამ-მშენის“ რაზმი, რომელსაც ინიცირი და მწერალი ავთანდილ გალდანიც ხელმძღვანელობს, მრავალი წლის მანძილზე შეუპოვრად ებრძოდა ათას სიმუნელს, რომ ომალომდე სამაძვანე გზა მიეყვანა. ამ გზით თუშეთში შემოვა ბარის სიკეთე, ხოლო ბარისკენ ამწვანებელი იალავლის ხეავი და ბარაქა დაიჭრება.

ამერიდან ისევ აღორძინდება ოცდაცხრამეტი მილიონებული სოფელი. მთას დაბრუნდებიან ქაბუჯები და ქალშეყლები, რომ მამა-პაპურ ფუტზე სპიი და თავზე შეასწორონ, წლობით







ს. კლაძის და ს. ჩინიაშვილის ფოტო

გამორახული კარი შესხნან და კერავაკიებულ სახლებს მზე და სიცოცხლე დაუბრუნონ.

ომალის ფერდობებს მიღვითის ხალხი შესევია. აგერ, ჩემი ნაცნობ-მგობარი თუშები — საბა ქადაგიძე, მათე ბაიხიძე, ვალიკო იდიძე, ალბერტ მიშიძე, ამირან ოთიურბიძე, სხვანი და სხვანი... სწორედ ისინი დაატყვევა იმ ღამეს უცბად მოწყვტილ-მა ზევაებმა, მაგრამ მთაში მაინც ყველა ამოვიდა. ომალის თევ-ზე ნამომართულ კესელოს ციხეზე ამაყად ფრიალებს რესპუბლიკის ნითელი დროშა და ნალარსაკით რეკავს ლექსი: „ვინამ სიქეა თუშთა დაღევა, ნაპირმოტეხა ცისია“. თავანყვეტილ რა-შებს ღინიანად დაატყენებენ პატარა თუშები. იქით ცხენების და-ნალავაში ევრიბებიან ერთმანეთს, აქეთ — ცხერის პარსვასა და მშვილდისწინაში. ბერდედებს ხელსაქმე გამოუტანიათ: ბზრია-ლებს ჯარა და თითისტარი, ირთებ-იძახება ძაფი, შრიალებს სა-ჩეჩელი და ფთილებად ეწყობა მატყლი, იქსოვება ღამაში თუ-შური ჩითები. „ორიოცი თუში დღია, ერთმა ფერდაის ზეაე-მანა“, — სევდიან ამბავს ღლინებენ თუში ქალები. თუშების ყო-ველი მორთ ლექსი აუცილებლად იმათ ეძღვნება, ვისი სიცო-ცხლედ ხიფათიანმა გზამ შეინირა. ვინ იცის, რამდენი ვაჟაკი შთანთქა უძირო უფსკრულმა, ზეაემ და მეწყერმა. ახლაც, ას-ბეტაში ვინმემ მკვდარი ჩიტი რომ ნახოს, უთუოდ იტყვის: სა-წყალო, რა თუშითი გახაში მომკვდარაო...

ტერესებს, რა ხდება დაბლა, მინაზე, რამ დაარღვია ომალის გუმინდელი და გუმინინდელი საყდრული მყუდროება. დაბლა, მინაზე კი მართლაც დიდმნიშვნელოვანი საკითხი წყდება:

პარტიის ასმეტის რაიკომის პირველი მდივანი ვეა ბატიაშვილი შეკრებილთ აუწყებს, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ომალში მეცხოველეობის საბჭოთა მურ-ნეობა უნდა შეიქმნას. აქვე, ხალხის ნებით და სურვილით, ახა-ლი მურნეობის დირექტორად ახალგაზრდა აგრონომი ტელმან იჭირაული აირჩიეს. დაიას, კი არ დანიშნეს, როგორც ეს მიღე-ბულია, არამედ აირჩიეს და სოფლის მურნეობის მინისტრს შოთა ეცადაშვილს ამ გადაწყვეტილების დამტკიცებაც სთხოვეს.

სახელდახელო ინტერვიუში ტელმან იჭირაული მუუბნება: — 110 ათას პეტტარზე მეტი სათიბ-საძოვარია თუშეთში. ჯერ-ჯერობით 10 ათასი სული ცხვარი, 500 სული ძროხა და ამდენივე ძირი ფუტკარი გვეყოლება. 1,5 პეტტარზე მოვანწობთ სა-კალმაზე მურნეობას, ავაშენებთ ფიცალის დამხმარე სანარმოს...

- ფიცალის სანარმოს?
- დიას, მალე აქ საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა გარადდება. ხალხს ხელის შეწყობა უნდა...
- მუშახელი თუ გვაფთ?
- ამავაზე ომალში 60 კომლი ცხოვრობს. ოცმა კომპაე-შირელმა გამოთქვა მთაში დამკვიდრების სურვილი. მერე ალ-ბათ ხსებენდ მობაძავენ მათს მავალთს...



აქ არიან ზემო აღვანელი და ქვემო აღვანელი ქაბუკები და ქალიშვილები — ბესიკ თაბერიძე, ნუგაზარ ფარეულიძე, ნათელა ხელაიძე, ნინო მუსხარაული, რეზო იუკურიძე, ლაზარე ბაიბოიძე, მერაბ ზუტიძე, ზაზა არაბული, ბიძინა თათარაიძე, რომლებიც თუშეთს კომკავშირული საგზურით ეწევივნენ. ხვალისდანი ისინი ფერმებს მიაშურებენ და განახლებული თუშეთისთვის სასიკეთო შრომაში დაიხარჯებიან.

— აქ, ამ მინა-წყალზე ცხოვრობდა ჩემი მამა-პაპა, — ამბობს ნათელა ხელაიძე. — ვინ უნდა ითაოს თუშეთის აღორძინება თუ არა ჩვენ, ახალგაზრდებმა. ჩემი ადგილიც აქ არის...

ეს უბრალო აღტიკნება როდია. ეს დროის, მიწის ძახილია, არასც ასე ჩინებულად გრძობენ და ეხმარებიან ახალგაზრდების მგზნებარე გულები.

საით უნდა გაიხედო, რომ ბუნების სილამაზემ თვალს არ მოგტაცოს. ფერდობებს წინწევანთა სარტყელი აკრავს, ხილურჯეში გადასული სიმწვანე დაჰკრავს ალპურ მდელოებს. ღრუბლებს ზემოთ, შთის ნერვზე, თითქოს ცაში გამოკიდულანო, თუშური სოფლები მორჩანან. მაღლ იქაც „აბოლდებიან ბუხრები“ და ქვეყანას ახალი დღის დაწყებას ამცნობენ ერთობე შემოქმედარი მამულები.

უამადაშიანებოდ, აბა, რა ფასი ექნებოდა თუშეთის სილა-მახეს!

ერთბაშად ატყვა თოფების სროლა — მხაზრობულმა მოავაგლე-ოაოში გახავიქტული ცხენი: ნუფე-დელოფლის — მარინე კარდღიძისა და ანზორ ხუდეგაიძის მყარონი ეწვია მოზვიმე სოფელს.

ორმოციოდ წლის დუმილის შემდეგ პირველი ქორწილია ომალოში! პირველი ქორწილი, თანაც ასეთი საპატიო სტუმრების მონაწილეობით!

ვიღაც მხედარმა ძლივს დააოვა გახვლებული მერანი, მათ-რახიანი ხელი მაღლა შემართა:

„დღეს სიხარულის ცრემლები, თუშებო, თვალებს გვისველებს,

სამაქანზე გზით ბარიდან მთას ვუბრუნდებით ისევ. დღეიდან მთების კალთებზე სხვა გუნთი გავიოფლებით, აბოლდებიან ისევ მიტოვებული სოფლები.

კვლავ გაიფლებს ტყის პირას ოთხი, ცელი და ნამვალი, კვლავ დაირწევა ბუხრის პირს მთას ნაშობ ბაღის აკვანი! — სქექდა თუში პოეტი იოსებ ლინგვიძე.

ჩემდაუნებურად გამახსენდა მურმან ლუბანიძის სტრიქონები: „თუშები მიყვარან სულში და გულში, ღმერთი, რჯული, არა ვარ თუში!“

ღმერთი, რჯული, არც მე ვარ თუში, მაგრამ ასე რად გავი-თავისე ომალოელთა ზღვა სიხარული, ასე რად შემძრა და შე-მავრიალა იოსებ ლინგვიძის ლექსმა, რად გამახსენდა დავით პაპა, ჩემი ფშავი და ხევსურეთი, რაჭა და ლეჩხუმი. იქნებ თუ-შეთის მკაცრობა იმათაც ახალი სიციცხულე შთაბეროს. აკი „დამირა კიდვთ ყინული“ და საქართველოს მთიანეთის მიტოვებულ სოფლებშიც კერა ხელახლა ჩაღდება...

\* \* \*

არასოდეს დამაინყნებდა თუშეთის ცის ქვეშ გატარებული ის ერთი ღამე, თუშების ბედნიერებით გაბრწყინებული სახეები. ავტომაქანების თარავანი ხელა ეშვებოდა ბარისაკენ. ყოველ ნაბიჯზე ჩახაფრებულყოფი ხიფათი: გამუდმებულ წვიმებს დაღე-ბო შთის ფერდობები, ფეხი ადგა ქვა-ლორღს, ქვევით, ხეობაში, თავპირისმტყვევით მირაოდა ადიდებული მდინარე სტორი, თითქოს ბარში სასიხარულო ამბის ჩაბნაში გვევებებოდა. და რაც უფრო ცვილდებოდი თუშეთს, მით უფრო იზრდებოდა სურვილი: მაღლ ისევ ვენვითო ამ ზღაპრულ სამყაროს, მის გაშრევა, კვილი ხალხს და როგორც დიდი ხნით მომლოდინე სა-ყვარულ არსებას, გრძობით ვუთხარათ:

— გამარჯობა, ჩვენი თუშეთო, გამარჯობათ, ჩვენი თუ-შები!

ელგუჯა ლეზანძი





ნაზი კილასონია

მთარი და აკვნები

მტერი მით უფრო იყო საშიში:  
მახილთან ერთად ეყრა ჰაშიში.  
მტერი მით უფრო იყო ვერაგი:  
ბანგით გვიფანტა ჯაჭვის პერანგი.

ჩვენ წინ გავევიდოდ „დაკარ-დაკარით“,  
ზურგში თრიპი ჰყოდა დრაკონით.  
რადგან შემურდა ჩვენი უნარი  
საშეიღვილოდ გაუხუნარი,

რადგან შემურდა ჩვენი შენება —  
მიუხაროდით გადაშენებდა.  
რათა არ შეგუდეთ იმგვარს, იმავეს,  
უნდა ნამოდგეს ჩვენი სიმრავლე  
უნდა ეიმრავლო, უნდა ეიბარტყო,  
ვიჯანმრთელოთ და უფრო ვიმატოთ.  
ცრემლით ხველი მაქვს თვალის უკენი:  
აკუნები! თორემ დავიღუპებით!...



კაცებს გაუფრთხილდით!

ამის წარმოდგენაც  
არ არის ადვილი.  
[ლმერთო, დაგვიფარე,  
აისიგან ვეისნენ].  
მე ენაზე სიზმარში  
რომ ქმრების! მაგოფრად  
სამართლის სკამზე  
ცოლები ისდნენ.  
ქუხუხდა მრისანება.  
ჭედა სიძულელი,  
პროტესტება ნაკადი ყოველი მხარით:  
— მაგან შეაჩვი!  
— მაგან აიძულა!  
— მაგან არ დაინდო!  
— დღეუბა ქმარი!  
ახლა ეს ლოზუნგი  
გეჭირდება უთუოდ,  
რომ ბოლო მოვულოთ  
ცრემლებს და განცდებს:  
„ქალებო, ქალებო,  
კაცებს გაუფრთხილდით,  
კაცებს გაუფრთხილდით,  
ქალებო, კაცებს!“

# ქალთა საერთაშორისო კონგრესის შესახებ რად



ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატი-  
ვით მიმდინარე წლის 8-13 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ  
პრაღაში გაიმართება ქალთა საერთაშორისო კონგრესი, 15 ოქტომ-  
ბერს კი ედუარდის პარკი, VIII კონგრესი.

საერთაშორისო კონგრესი იმართება გაერთიანებული ერების  
ორგანიზაციის მიერ დაწესებული „ქალთა ათწლეულის“ მეორე ნა-  
ბეჯარში. მისი მთავარი ღონისძიება „თანასწორობა, ეროვნული დამო-  
უფლებლობა და მშვიდობა“.

ეს ინიციატივა რომ გამოიჩინა, ქალთა საერთაშორისო დემო-  
კრატიულმა ფედერაციამ უფართოესი სოციალური ფუნქციის წარმო-  
მადგენლებს, მსოფლიოს ქალთა სხვადასხვა ორგანიზაციასა და მო-  
ძრაობას, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, გაერთიანებული ერე-  
ბის ორგანიზაციის და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების  
წარმომადგენლებს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ  
მსოფლიო კონგრესში.

მოწოდებაში ნათქვამია: „მსოფლიოს ქალებო, მეტი წვილი  
შევიტანოთ ქვეყნად მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობი-  
სათვის, ქალთა სრული თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში,  
რაც საშუალებას მისცემს ქალებს ერთმანეთს შეუბამონ დღის,  
მშრომელისა და მოქალაქის მოვალეობანი.“

კონგრესი გამოიშველებს ქალთა ორგანიზაციების შემდგომ  
მოქმედების პროგრამას.

განზრახულია, მუშაობა ჩატარდეს ორ პლენარულ სხდომაზე და  
ქვეს კომისიაში შემდეგ თემებზე:

— „ქალები მშვიდობისათვის, გამაღებელი შეიარაღების წინა-  
აღმდეგ ბრძოლაში“;

— „ქალთა თანასწორუფლებიანობა საზოგადოებაში“;

— „ქალი ოჯახში“;

— „ქალთა მონაწილეობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის  
ბრძოლაში“;

— „შრომა და ქალი, მათ შორის სოფლელი ქალი“;

— „საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა ეროვნულ-  
რეგიონალურ, საერთაშორისო დონეებზე ერთმანეთს შორის და  
გაერთიანებული ერების სისტემის ფარგლებში“.

# საქართველოს დასაქმებულნი...

## უჩრდად „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე

ვინც ჩვენს უჩრდად სისტემატურად თვალს ადევნებს, არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს იმ პუბლიცისტურ ნერვებსა და მასობრივ ღონისძიებებს (მრგვალი მაგიდები, სხდომები), რომლებიც ხალხის საქართველოში, როგორც დღეს ამბობენ, პრობლემატურ საკითხებს ეძღვნება. „საქართველოს ქალის“ აუდიტორია, რაღა თქმა უნდა, ძირითადად ქალებისაგან შედგება. ქალი კი (ნუ გვიწყენენ მამაკაცები) უფრო მგრნობიარე, უფრო ნატიფი და უფრო წერილმანიც კი არის, ამ სიტყვის კარგი გაგებით, ე. ი. მტად აღუწეულია, საქმის ბოლომდე მიმყვანი. ამის უტყუარ დასტურად ჩვენი სარედაქციო ფოსტაც გვევლინება, სადაც უხვად არის თავმოყრილი მკითხველთა გამოხატობები თურნლის ღონისძიებებზე და საქართველოში ინიცატითი დანერგო სულისშემძერელი, ზოგჯერ საკანგამო ამბების მათყუებელი ნერვების კი.

საკუველთაოდ ცნობილია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მანერ ტრადიცობისა და ნერკვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რასაც მოსკვა მრავალი სასარგებლო ღონისძიება და პრესის აქტიური მხარდაჭერა. ამ საკითხის ასეთ მავალ დღენზე განხილვა, თავისთავად შეუძლებლეს იმაზე, თუ ყოფით პრობლემებს დღეს რა დღი მნიშვნელობა ენიჭება.


ამ ბოლო ათწლეულში ჩვენ მრავალი ახალი ტრადიციის დაბადების მარწმინ შეიქმნით, ამის საილუსტრაციოდ მარტო „თბილისობა“ იკმარება. როგორც ზეანუელი, როგორც შრობილური, ეროვნულად და, ამასთანავე, როგორც ინტერნაციონალური ან ეს ზემი. როგორ შეერწყა და შეენიჭა იგი ჩვენს მზეთუნახავ დედაქალაქს.

ადამიანები ბუნებით ძალზე დემოკრატიულები არიან, ქრისა და ლხინი ერთმანეთთან შეხვედრა მოთხოვნილება აქვთ ქვეული. ამიტომ ისინი სიამოვნებით მონაწილეობენ დიდ თავყრილობებში. აღბათ სწორედ ამას ითვალისწინებდნენ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელები, როდესაც ძველ დრომოქმულ ტრადიციებს სრულიად ახალი (თბილისობა, მოსავლის ზემი, ყვავილების ზემი)... და ძველზე აღმოცენებული, ტრანსფორმირებული (გარეჯობა, მცხეთობა, ილიაობა...) დღესანაალები დაუპირისპირეს.

საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა, იხვეწებოდა, ზოგჯერ პირაკუ პროცესებს განიცდიდა ხალხური ტრადიციები. ამიტომაც რამდენიმე წელი როდი აღმოჩნდა საქართველის ყველაფრის გასანორმებლად. ჩვენი დღევანდელი რეკომენდების სხდომაც ამის დასტური გახლავთ.

სასწუხაროდ, ისევ გრძელდება 200-300 კაციანი ქორნალები თაჟის მანკური რიტუალებით. ისევ იმართება უსაშველოდ დიდი ქვლებები. ისევ დგას სოფლად, მიცვალებულის ეზოში მაკადები „გადასახურავისათვის“. ქალაქების დიდ სახლებში კი ისევ დაიარება სართულსართულ ვინმე — „ხარკის ამკრევი“ და ვითომ ვერ ამჩნევს „გადამხდლის“ თვალში ჩააღმდეგ გაოცებას — რატომ მარტომედეგ ფულს, მიცვალებულს ზე ხომ არ ვიცნობდიო.

„ისევ“, რამდენი „ისევ“ შეიძლება ითქვას.



თი ორი ნანყვეტი იმ უამრავი გამოხმაურებიდან, რომლებიც უჩრდად და ბჭედოდ პუბლიცისტურ ნერვებს მოწყვა:

„...ერთ საღამოს მამაჩემი უგუნებოდ მწყენა: მთელი საათი უხმოდ იჯდა და რაღაცს უაზროდ მისწერებოდა. გადავუკიდე, რა მოგვივიდა, მამი, ხომ არაფერი განუტებს-მეთქი. რომ ვეღარ მომიშორა, შემოვიყვინა: რას გადაამედივე, გოგო, ხელინდოდ დღეზე ვფორბო, ფული უნდა ვისესხო სამდე, ხომ იგი, ამის და ამის ქორნალები ვართ ნასასველიო...“

მეორეფასო რედაქცია, იციო, როგორ შემეცოდა ჩემი სანყალი, პატიოსანი მამა!...“

„...დგდა რომ მოგვივიდა, მის უჩრდად სხვა ქალაღებთან ერთად პატარა ბარათი ვიპოვე. ანდენიძი არ ვეჭომოდა, მაგრამ უკანასკნელი დანახარები კი იყო შრობისა. „შვილებო, — გვერდა იგი, — მე თქვენ უამროდ ისე დაგზარდეთ, კაპოკი არსად მიმათხოვრია. ვშრომობდი, ვწავლობდი და პატიოსან ლუკვას ისე გაჭმედილი... ახლა თქვენი ჯერია, მათხოვრობა არ იკადრით, კაპოკი არავის გამოართვით! ვისაც საშუალება არა აქვს, დიდი ქვლები არ უნდა გამართოს. დღეს შვიერი აღარგან არის, რომ სამადლოდ გაძლიო...“

მოკლედ, ძალს ჩვენი ვართ და ძალს დრომოქმეობი, უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, დაზიანებულები, აბუჩად ადგებულ მამა-პაპური ტრადიციები. ეტყობა ისევ საქართვეო საუბარია და არა მარტო საუბარი! იქნებ დღევანდელ სხდომაზე ვთქვავს, რა პოზიცია არჩიოს, კერძოდ, „საქართველოს ქალის“. იქნებ მარტო ლაბარაკი არ კმარა ამ ფრად ძნელად მოსაგვარებელი პრობლემის უფრო სწორად, პრობლემათა მთელი კომპლექსის გადასაჭრელად. იქნებ სხვა, უფრო მქმდობი, აქტიური, მიზანდასახული, გარკვეული შედეგის მომტანი რამ ღონისძიებაც დავისახოს, ვნახო!

სხდომას ერცელი შესავალი სიტყვით ხსენის „საქართველოს ქალის“ რედაქტორი — მწერალი მარკია ბარათაშვილი. იგი მომთხილავს თურნაღის ფურცლებზე და ბჭედოდ პუბლიცისტურ მასალებს, იმვე ღონისძიებ მკითხველებთან მიმონურას, სოფლის სხდომის მონაწილეებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ საშვილიშვილო ამბის — მანკერ ტრადიციათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ჩვენი თურნაღი კი არა, დიდტანიანი ნინეიც ვერ დაიტყვდა სხდომის მონაწილეთა გულმგურავდ გამოხვედების ტექსტს. ამიტომ შევეცადით მოკლედ, უფრო სწორად, ზოგინერი ბზრი თვითავაზით ამ საუბრიდან მკითხველს.



ამ დიდ საქმეს მზარი უნდა აუბას სკოლამ, უმაღლესმა სასწავლებელმა, პიონერულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. დიახ, სწორედ ეს სასკოლო სახალხო მოძრაობად უნდა გამოცხადდეს იმ მახინჯ ტრადიციებთან ბრძოლა, რომლებიც არ შეიძლება ისეთ მაღალგანათლებულ და კულტურულ ერს გააჩნდეს, როგორც ქართველი ერია!

წინადადება შემომავს ქართველი ქალებისადმი მივიღოთ მიმართვა ან წერილი.

იმედი მაქვს ჩვენი მცდელობა შედეგს გამოიღებს, რომ იტყვიან ძალი შეგვინებს ქაღალცს!



**ნინო ტვანინა** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე.

— მანკიერ ტრადიციებთან ბრძოლა მართლაცდ სერიოზული, მე ვიტყვით, პოლიტიკური ფლერადობის საკითხია. ქალთა ევბერთელა არმიას, რაღა თქმა უნდა, ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ოღონდ არავითარი კამპანიურობა! ბეჯითი, სისტემატური პრობანანდა საჭირო. ამიტომ განუსაზღვრელია პრესის როლი!

ამ საქმის ინიციატორებად და ცხოვრებაში მის დანერგვავეება ქალთა საბჭოები შესახებ. მერწმუნეთ, ქალთა საბჭოებს უამრავი პრაქტიკული ღონისძიების ჩატარება შეუძლიათ. პირადად მე მინდა ოფიციალურად განაცხადო, რომ თბილისის ქალთა საბჭო ამ საშეიღოგო საკმის აქტიური მონაწილე გახდება. აქვე უნდა დავმინო, რომ შთავარი როლის შესრულება მინც რაიონის, წარმოების ხელმძღვანელებსა და სასოფლო ყრილობებს შეუძლიათ. მიიგონეთ კაცბეთის მაგალითი.

არსებობს მანც ტრადიციებთან მებრძოლი სპეციალური დანუხებულება, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მათ მცდელობას, ჯერჯერობით, ჩვენ რომ გავმძმნოს, ისეთი ნაყოფი არ გამოუღია. ეს რომ ასე ხდეს, ჩვენც ხომ არ შევხედვობოდი დღეს ერთმანეთს.



**ნინო ჯაჰარენკო** — აკადემიკოსი.

— სწორედ რომ ჩამაფიქრებელ ამბავთან გვაქვს საქმე. მართლაც ძლიერ გაიდა ფესვები ანგარებს დამყარებულმა ტრადიციებმა. ქორნილი და ქლები ზოგერთისათვის არასწორი შემოსავლისა და გამდიდრების წყაროდ იქცა. რა სამწუხაროა, რომ ჩვენში განათლების ცვენის დონეს, რომელიც სულ უფრო იზრდება (საქართველოში სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ყველაზე მეტი უმაღლესი განათლების მქონეა), არ შეესაბამება მოსახლეობის ყოფიტი კულტურის დონე. აი, ავიღოთ თუნდაც ტრანსპარანტები — მიცვალებულის სახლზე გამოკიდებული წარწერები: დეჰტორით ამას და ამას. ხომ დამეთანხმებით, რა ცუდ ხასიათზე გვაყენებს იგი ამ სახლის წინ გავლისას, როგორ შეგვეკუმუბა ხოლმე სვედი გული, ნუთუ ადამიანმა თავისი დარიდი და წუხილი საკუთარ სახლში ვერ უნდა დააბატონოს. ასეთ ტრანსპარანტებს წინათ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ავრადუნენ. ახლა მან უღელტეხილი გამდობახა და აღმოსავლეთ საქართველოც იკიდებს ფეხს. გვაქვს ნამდვილად სერიოზულად დაფიქრების საბაბი.



**ლუბა შენიაშვილი** — პროფესორი.

საესებოთ ვთანხმები ქალბატონ ნინოს, ჩემის ფიქრით საქირია ამ საქმისადმი მეტი ერთსულევენება სუფედეს შრომით კოლექტივებშიც. ზოგიერთი სხვათა შორის უფურებს ამას, უფრო მეტიც, სრულ კაპიტულაციას აცხადებს. განა იშვითად გესმენია, რა ვქნათ, ბატონო, მე და შენ ქვეყანას ვერ გავასწორებთ. თუ და შენ“ მცდარი აზრია. სწორედ მე და შენ გავასწორებთ, თუ კი მოვინდომებთ, ოღონდ ეს არის, ძალიან უნდა მოვიინდომოთ. თუ კაცი ძალიან მოინდომებს, მეთებს შეძრავს!

ჩემის აზრით პრესას მეტი გაბედულება მართებს, იქნებ სჯობს, კონკრეტული ფაქტები გამოავაშუაწიოთ, ნამდვილი გვერები დავასახელოთ. საქიროდ მიმანია რედაქციის აქტივის გასახლა რაიონებში. იქ იგი პირადად შეხვდება მშრომელებს და გულახდილ საუბარს გამართავს რიგ მტკივნეულ საკითხებზე. გამოერებს არ მოვიერდები და ვიტყვი, უნდა ამაღლდეს ამ მიმართულებით ქალთა საბჭოების როლი, მათი ქმედობა.

რედაქციამ დიდებული საქმე წამოიწყო, ვფიქრობ, იგი უთუოდ გამოიღებს ნაყოფს.



ნელი გურჯანიძე — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეთორე მდივანი:

— მინდა დაკრძალვის ცერემონიაზე, კერძოდ, ყველაფერისა და გვირგვინების მიტანის საკითხზე შევჩერდე. აქ, მაგნი, ცოტ-ცოტას ყველანი ვცოდით, გვეწმენლება ხელცარიელი მისვლა. არადა, რა კარგად იყო ყოველივე მოწესრიგებული, გარდა ძალიან ახლობლისა და ოფიციალური დანსებულებისა, გვირგვინი აღარავის მიჰქონდა. პირდაპირ გასაკვირი პროცესები ხდება. სრულიად უმიზეზოდ კვლავ აღორძინდა ძველი ჩვევა — ზღვა ყვავილები და გვირგვინები... ფიქრობ, აქაც თავი იჩინა ნამხედვრობამ, შეჯიბრმა ვინ უკეთეს გვირგვინს მიიტანს (ახლა მინიატურული, მინდვრის ყვავილებიანი გვირგვინებია მოდაში), მერნამუნი, ზოგიერთი ყვავილი თუ გვირგვინით გამოჩნეულად ხელდამშვენებული, წესიერადაც არ იცნობდა არამც თუ მიცვალებულს, არ იცნობს ჭირისუფალსაც კი.

ზოგი რამ ქორწილზე: იტყვიან ლხინი და ჭირი ძმებიაო, მაგრამ რა სანწყინია, როცა ზოგიერთი ჭირსა და ლხინს თითქოს განგებ აწყვილებს. თბილისის პარტიის კომიტეტმა ახლახან ამაზრუნეს შემოიხვევა განიხილა. — ერთმა მექორწილე ოჯახმა საორტულ მოუდანზე გარძელ სევაში მოაწყო ნადიმი, რასაც სრულიად უდანაშაულო ყმაწვილის სიცოცხლე შეენირა და... იქვე ლხინი ჭირად, დანივრა

ორი ოჯახი; (მოკლულისა და მკვლელისა) ჩაშხამდა ახალგაზრდა წყვილს ბედნიერება, ეს ტრატედია კი მათ ცხოვრებას სამუდამო ჩრდილად აედევნა. არადა, შეიძლებადა ყოველივეს დროზე აღკვეთა. სად იყო საბინაო კომიტეტი, სახლის რწმუნებული, უბნის ინსპექტორი, კარის მეზობელი, ახლო ნათესავი, დანსებულება, სადაც ოჯახის უფროსი მუშაობს, და ბოლოს, სად იყვნენ მექორწილეთა კოლეგები და მეგობრები, რატომ უშუშებენ ასეთ კომპრომისს? ბევრს ხომ

ნამდვილად არ მოსწონს ეს... (თავი მოკრულია, მაგრამ საქმეზე არ... კეთილკამო ტიანი კაცის პოზიციას... ზიცია ანკობს. აღარაფერი... წყლის შემგროვებელ... უნდა შეიძლება...)

ქალი ოჯახის ბერკეტია, ერის ჭირისუფალია, შვილების დედა, ქალბა თუ გაინაო, უღქვამთ ჩვენს წინაშეს...

მართლაც თუ ქალმა მოინდომა შეუძლებლეს შეძლების და ალბათ, უნდა შეიძლოს კიდევ.



**მედეა მუხრანელი — პარტიის საგარეო რაიონის პირველი მდივანი:**

— ჩვენმა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო მაგნი წეს-ჩვეულებებთან საბრძოლველად, რასაც მთელი მოძრაობა მოჰყვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ხანგრძლივი პროცესი გახლავთ და დღევანდელ ეტაპზე ქალთა ფუნქციის პოზიცია სრულიად სწორი და რეალურია.

ჩემის აზრით, დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს ძალიან სათუთი მოჰყვრება ესაჭიროება. დროთა განმავლობაში ზოგიერთ ტრადიციას ცუდი დანალექი გაუნდა და იგი რესტრუქტორის ფრთხილი ხელით უნდა მოვალყოლო. ზოგიერთ რამეზე ხელაღებით როდი უნდა ვთქვათ უარი. განა ცოტა ცვიით ისეთი შემთხვევა, როცა პროგრესულად მოაზროვნე კაცმა ქელები არ გააკეთა და მერე ზოგიერთის მწარე სიტყვამ გული ატყინა? აქ, რაღაც ახალი კრიტერიუმებია მოსაძებნი. უპირველესად, ალბათ, სასოფლო ყრილობებმა უნდა გააგრძელონ ამაზე სჯავასი. ბევრის გაკეთება შეუძლიათ რაიონის მესვეურთ, თუ ისინი თავის მხედველობის არეში მოიქცევენ ყველა სანსკრულებლო ღონისძიებას და თავის წინამძებნულ ძალას სწორად მოიშველებენ, (არავითარი

ადმინისტრაციული მიდგომა), მერნამუნი, შედეგი არ დააყოვნებს.

მეტი პრობანადა სჭირდება კომკავშირულ ქორწილს. საგარეო რაიონის ახალ სოფელში, უდაბნოში, კომკავშირული ქორწილი ჩვენ უკვე დავაკანონეთ. არც ერთი ბედნიერი წყვილის დალოცვა არ ხდება აქ სოფლის თავმჯდომარის გარეშე. ეს კი, დამეთანხმებით, წესრიგის გარკვეულ გარანტიას იძლევა. სოფელ უდაბნოში კიდევ ერთი ახალი ტრადიცია დავამკვიდრეთ, — საშოქალაქო ნათლობა. ბებერ ძირზე ახალმა ყლორტებმა იფიქრა, უდაბნოელ ბავშვებსაც ჰყავთ თავისი შორეული წინაპრებით ნათლები. იღონდ, ამჯერად ნათლებს ახალი სოციალური ფუნქციები დავკისრათ. გამოიტყნა კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანთა დაბლობების კიდევ ერთი მშვენიერი ფორმა. აქ გამოირიცხულია ყოველგვარი რელიგიური და წინა პლანზე წამოწეული საბჭოთა მოქალაქის მრწამსი — მეგობრობა, ნათესაობა ყოველგვარი ანგარების გარეშე! მივლი საგარეოს რაიონი, მისი ქალბა საბჭო ყველაფერს გააკრებს იმისათვის, რომ აქ გამოთქმულ კარგ სურვილებს და თავის წინამძებნულ ძალას სწორად მოიშველებენ, (არავითარი

რომ იტყვიან, ასევე გაგონილს ერთხელ ნანახი სცნობია.





**ნინო ლაშინი** — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე:

— პარტიის დადგენილება მავნებელი ციების წინააღმდეგ საბრძოლველად სულ უფრო მეტ გამოხმობურებას პოულობს. ამას მონაწილეს დღევანდელი სხდომაც. შეფერდები თელეთის ქორწინების სახლზე. ამ მშენებრი შენობის ლამაზ, თანადგროვე, კომფორტულ დარბაზში ახალგაზრდებს შეუძლიათ ქორწინი გადანიადონ. ის ფაქტი, რომ ზეიმი სახელმწიფო დაწესებულებაში ეწყობა, თავისთავად, ზღამზღველობის გარკვეულ საშუალებას იძლევა: ხომ შეიძლება შეიზღუდოს სტუმართა რიცხვი მაინც, მითუმეტეს, რომ აქ სუფრის გაშლა უსაშველოდ ძვირი ჯდება, რაზეც, ალბათ, სერიოზული დადგენილება მართებთ მათ, ვისაც ჯერ არს. იქნებ, როგორმე მოხერხდეს, რომ დარბაზი და ჯამ-ჭურჭელი მაინც იყოს უფასო. ასეთ ადგილებში შესვლა, მტნაკლება, ყველაასათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. მეტი უნდა აკეთდეს სარიტუალური დაწესებულებები, ორი სამი მაინც თითოეულ რაიონში.

დიდია პროფკავშირის ძალა, დაწესებულების პროფორგზუ უკეთ ვინ იცის, რით სუნთქავს, რა მოთხოვნები ან რისი საშუალება და სურვილი აქვს მის თანამშრომელს. პროფკავშირულმა ორგანიზაციამ აქ უკეთესობა უნდა თქვას თავის ავტორიტეტული სიტყვა.

წესჩვეულებათა დახვეწისა და მისთვის თანამდგომარე ელფერის მიცემის, ასევე ახალი ტრადიციების დანერგვის საჯაროობისათვის დიდი ზეფრთიონი აქვს რადიოს, ტელევიზიასა და თეატრს, ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალება უფრო უკეთ, ქმედითად უნდა გამოიყენებოდ.



**ვერა ქავაშვილი** — სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი:

— დიდი ხანი არ არის, რაც დედა გარდაემცვალა, პურმარილიანი ქალი იყო ის მაღლიანი. ბოლო დროს ბევრს ავადმყოფობდა. მნახველი, რომ კარს შემოაღებოდა, თვალთი მანიშნებდა, არ გაუშვა, პური აჭამეო. ალბათ, გამიგებთ რა ძნელი იყო ჩემთვის მრავალსულთან ქელვებზე უარის თქმა. მაგრამ, ერთი წუთითაც არ დავეჭირებულვარ. აბა, ვინ უნდა იყოს მაგალითის მიმცემი, თუ არა მე! ნამდვილად აღმშობილებული ვარ იმით, რაც დღეს ჩვენს ქალაქში ხდება: ქორწინლებსა და ქელვებებს პირდაპირ ეზოებში მართავენ. გვიარ ღამემდე არ წყდება ხმაური და ღრიანიცელი. სხვა თუ არაფერი, იმას მაინც უნდა მოვერდოთ, რომ თანამედროვე მჭიდროდ დასახლებულ ბინებში მანერებს ძიღს ვუფრთხოთ.

თავს უფლებას მივიცემ, ყველა ქართველ მუშის სახელთ განაცხადო: ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რომ აქ გამოთქმულ აზრებსა და წინადადებებს მშრომელთა კოლექტივებში გზა გაუვსნათ და ცხოვრებაში დაინერგოთ.



**ქეთევან ლაშინი** — აკადემიკოსი:

— ჩვენი შეკრება ძირითადად ორი საკითხი გამოკვეთა — წრეგადასული ქორწინი და ქელვები.

ქორწინება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტია. იგი ნამდვილად ცდილება პირადულს, იქმნება ოჯახი — ახალი უფრედი, რომელიც პასუხს აგებს საკუთარი თავისა და მომავალი თაობის წინაშეც. მაგრამ თავად ქორწინი მაინც მეტად ინტიმურ მომენტად მიმაჩნია და ამდენად, მომხრე არა ვარ პირადული ზარ-ზუგით დემონსტრირებისა ქორწინება დღეს ძალიან გრანდიოზული ხასიათი მიიღო. ჩემი თაობის ხალხი საქორწინლო სუფრაზე მხოლოდ ახლო ნათესავ-მეგობარს ევატყებოდა, რაც სრულიად ნორმალური გახლდათ. ჩემის აზრით, სასურველი იქნება, თუ ჩვენი ახალგაზრდები ბები-ბაბუების მავალითს მიბაძევენ.

ადმინისტრაციული ღონისძიებები მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად მიიღო დადგენილება და პირველმა შედეგებმაც არ დააყოვნა, მაგრამ, რატომაც, შემდეგ ეს პროცესები შენედა და დღევანდელ ეტაპზე, მთავარ ძალად მაინც მორალური ზემოქმედება გვეუღებება. საზღვარს გადასული ქორწინი და ქელვები მაინც შეყრობითი ადამიანების მანკია. ერთი ასეთი შემთხვევა მაგონდება: გარდაემცვალა ოჯახის უფროსი, მუშობლებმა, „როგორც წესია“, ფული შეკრიბეს. შეიღმა ეს სასტიკი შეურაცხყოფად მიიღო და ფული უკან დააბრუნა. „უკილომა“ მუშობლებმა მიცვალებულის შესანდობარი რესტორანში დალიეს.

ვფიქრობ, კომენტარი ზემდეტია.

მწვედ უნდა გავაკრიტიკოთ აგრეთვე ისეთი ცდილი ჩვევები (რომლებიც საცოტრადიცად იქცევა), როგორც არის გონებასახვილურად მონათლული „დექერტაცია“ და დღეობა-ნათლობაზე ფულის ზუტება. იქნებ ეს ცალკე სასაუბრო თემაც იყოს.

უნდა ვიფიქროთ საჩუქრის ახალ, სადა ფორმაზე. საჩუქარი ფსიქო — გადახდილი ფულით არ უნდა იზომებოდეს.



**ივლიტა მისხიშვილი** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

— რედაქციამ გონივრული ღონისძიება ითავა. აქ ბევრი ითქვა ჩვენი ტრადიციების ავკარგზე. მე კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ძველ კარგ ტრადიციებს საოული მოყვრება და გაფრთხილება ესაჭიროება, მანკიერსა და წრეგადასულს კი — დაგმოხა. თუ გვირდა, რომ ამ შეხვედრამ გარკვეული შედეგი გამოიღოს, ტემში არ უნდა შევანელით, პირიქით, მიუღი დასაშრობა, მიუღი მოძრაობა უნდა გამოვაცხადოთ. ამ ბრძოლაში დიდი როლი შეიძლება შეასრულოს ხოცილოლებსა და ეთნოგრაფების გამოცემა პრესაში და ტელეეკრანზე.



**თამარ ლაშარაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი;

— გვირგვინებისა და ყვავილების აკრძალვის რაიმე ფორმა უნდა მოვიფიქროთ. იქნებ სჯობდეს ყვავილების მალაზიებში დადგინდეს დაკვეთების შეზღუდვის გარკვეული ნუსი.

კარგი იქნება, თუ გარდასულთა მოგონების დღეზე ვფიქრობთ. ის, რაც ჩვენი სასაფლაოებზე მიცვალებულის მოსაგონარ დღეს ხდება (ჯერჯერობით იგი რელიგიურ დღესასწაულის თარიღს ემთხვევა), შეუნყნარებლია.

დასაგმობია აგრეთვე ქორისუფლისათვის ფულის შეგროვების, ანდა როგორც ამას ზოგიერთი განმარტავს, „სესხება-გასესხების“ ფორმა. ეს ამბავი პირდაპირ დაუღვევლ პრობლემად იქცა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ოჯახს თავისი — განსხვავებული ჩვევა აქვს, თითოეული ჩვენივენი იცნობს, ალბათ ისეთ ოჯახებს, რომლებიც გაბედულად ალუდებენ ამ მცდარ კანონებს და არაკეთარ ქელებს და დიდ ნაღიმებს არ მართავენ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს ქალებს შევახსენო ისიც, რომ საჭიროა ზომიერების გრძნობა, თორემ მეშინაობის ქიამ ბევრგან შეაღწია, ბევრმა დაკარგა ზომიერების გრძნობა. ზოგიერთმა კი მიზნად გადაჭარბებული ფუფუნება დაისახა; ამის მაგალითია სამკაულების ასეთი სიჭარბე. ავეჯის ნამდუაუნუ მცლა. ძვირადღირებული რემონტების კეთება და ბევრი რამ, რისი ჩამოთვლაც ახლა შორს ნაკვიყვანდა.

მთავარი ძალა, რითაც შეიძლება ყოველივე ზემოთქმულზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა, ვფიქრობ, მინდ შრომით კოლექტივებში უნდა ვეძებოთ.



**ნანა პალაშვილი** — პროფესორი;

— თუ ზოგიერთი ჩვენი მკითხველი არ მიწყენს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მსუხარების გამოხატვის ფორმებშიც უწინდებ პიროვნების შინაგანი კულტურა. და თუ ჩვენ დღეს ამდენი ლაბარაკი დაგვჭირდა დაკრძალვის წრეგადასულ ტრადიციებზე, ეს, ალბათ, ზოგიერთი ქორისუფლის დაბალ კულტურულ დონეზე მეტყველებს. შეიძლება ასეთი კატეგორიული განცხადება ზოგმა ზემდებდაც ჩათვალოს, მაგრამ რაკი გადაწყვიტეთ ამ ნანკს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადოთ, სხვა გზა არ დაგვჩენია, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაგვრქვათ.

მამაჩემი ძველი ბოლშევიკი ვახლათ, პარტიის წევრი 1917 წლიდან. სიკვდილის წინ კატეგორიულად გადავფრთხილა, არავითარი ზემდებლობა არ ყოფილიყო მის დაკრძალვაზე. მე ჩემი დანაზოგი ფული მაქვს და ის მეყოფა, აკაკის და ვეფას საფლავს თუ უბრალო ქვა ადებს, ამით მათი ღირსება როდი მცირდება. ეს იყო ჩემი სპეტაკი მამის მაღალი სულის კიდევ ერთი გამოხატულება. ასეთ ტრადიციებზე აღზრდილს, მე სხვაგვარი მსჯელობის უფლება არ გამაჩნია.

კიდევ ერთი ნაკლი გვაქვს, თუ შეიძლება ამას ნაკლი ეწოდოს. უცხო სტუმრის პატივისცემისას ხშირად ვკარგავთ ზომიერების გრძნობას. მეტი კი გული ვგვტკივა, როცა შინ დაბრუნებული სტუმრის სიტყვებს ვინმე გადმოსვლელია, მე საქართველოში ვერაფრის ნახვა შეუძლია, მიუღ დღეს სუფრასთან ვატარებოთ. სანახავი კი, მართლაც რომ ბევრი გვაქვს ქართულებს იქნებ ამბავი დავეფიქრობოთ სერიოზულად. ხალხს უთქვამს: ზომიერება ოქროაო.

ყვეთაანებში გამომსვლელია აზრს, საჭიროა ნერიული მიგმართოთ ქართველ ქალებს.

\*\*\*

ძვირფასო მკითხველო, სხდომა არ დამთავრებულა. ამ რეპორტაჟის ნაკობის შემდეგ ჯერ იტყვენა, იტყვენ რომანდებით ჩვენი საუბრის დაუსრულებლი მონაწილე. მიმდევრო მონიერბში სისტემატურად დაიბეჭდება თქვენი გამოსვლები. ველით ნერილებს!!!

რეპორტაჟი

ნანული ცაბარაიშვილისა





# ნ ე რ ი ლ ი

## ყველა ქართველი ქალისადმი

ძვირფასო ქალებო!

განსახლებული ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ კაცობრიობის მშენებელი და ღირსი ნახევარი ვართ. ტყუილად ხომ არ გაისმის ტკილ ქართულში ქალის სადიდებელი — „დედამინა, დედაჩა, დედაბუნება, დედაბოძი, დედა ვფიცავარ, დედის რძეავით შეგერგოს.“

ტრადიციებს ხალხი პქმნის, ამიტომაც ტრადიციები ერს საყოთარ სახეს, განუმორებელ კოლორიტს, რაღაც ძალიან თავისსა და განსხვავებულს ანიჭებს. ამა თუ იმ ხალხზე ხშირად ტრადიციების მიხედვითაც აკეთებენ დასკვნებს — მდიდარი, დახვეწილი ტრადიციების მქონე ერიაო, იტყვიან. გამონაკლისი არც ჩვენა ვართ. ბევრჯერ გვსმენია, რა დიდებული ხალხია ქართველები, მოყვასის შემბრალე, მტრის დამლახერავიო. გვსმენია და სიამაყით აღვსილვართ.

მაგრამ სრულიად საპირისპირო აზრისთვისაც მოგვირავს ყური. მოგვირავს და ადვილფიქტობულვართ, გვიდარდია: საბაბის მომცემი და გავკვიცხავს, თავზე რისხვის ზარები დაგვიღვინა.

დღეს ყველა ძალიან კარგად გრძნობს და ხედავს, როგორ ირღვევა ლხინსა და უამრავ ჭირთა თმბამ: გამოტარებული მამა-პაპური ტრადიციები. ირღვევა და სრულიად ახალ, მანკიერ ხასიათს ღებულობს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მანვე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ სპეციალური დადგენილება მიიღო. მანვე გადაჭრა ახალი, თანამედროვე საბჭოური ტრადიციების შექმნისა და აღმოცენების საკითხი, რომელსაც სულ რამდენიმე წელიწადში შეესხა ხორცი.

ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლიდერმა ლ. ი. ბრეჟნევმა ბრძანა, საქმე კარგად მიდის. ეს შეუფასება უდიდესი სტიმულია კეთილ საქმეთა და გმირობათა გასამრავლებლად.

ყურნალ „საქართველოს ქალის“ რედკოლეგიის გაფართოებული სხდომის მონაწილენი:

- პირიმო პანჯაშვილი — სსრ კავშირის სახალხო არტიტი;
- მარიამ ბარათაშვილი — მწერალი;
- ნონა ბაშინიანი — მსოფლიოს ხუთჯანს ჩემპიონი ქალკაჷ;
- ნინო გურბანიანი — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მებრე მდივანი;
- ლელა ზარბანიანი — 17 წელის დედა.
- იულია თაბაძე — კომუნურნიების თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი;
- ზინაიდა კვაბაძე — საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანი.
- ქეთევან ლომთათიძე — აკადემიკოსი;
- თამარ ლაშარაშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი;
- ნინო ლაბია — საფეიქო და მსხუბე მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

„საქართველოს ქალის“ რედკოლეგიის გაფართოებული სხდომამ დაგმო მანვე-მანკიერი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, შეუნყნარებლად მიიჩნია 300-400 და მეტ კაციანი ქორნილები თუ ქველები, რომლებზეც ერთმანეთისათვის სრულიად უცხო საზოგადოება იყრის თავს. თუ სამედიცინო და იურისტრუდენციის სტატისტიკას მოვიშველიებთ, ასეთ ხალხმრავლობაში შეიძლება აღმოჩნდეს სულით დაავადებული ავადმყოფი ან სოციალურად საშიში ელემენტი. აი რატომ არის, რომ ქორნილი და ქველები ზოგჯერ ტრაგიკულად მთავრდება ხოლმე, რომლის მონაწილე თქვენი ყოფილხართ და ჩვენც.

სხდომამ ასევე მანკიერად მიიჩნია ფულიის შებრუნების ჩვევა: ქართველი კაცი (და არა მარტო ქართველი) ყოველთვის უნდოდა მეგობრულ ხელს სახსარმოკლებულ ან ბოლად დარჩენილ ოჯახს, მორალურად ამხნეველად და მატერიალურად უშველებოდა. ეს დიდებული ჩვევა და მას მეტი განმტკიცება ესაჭიროება, იგი არ უნდა აგვირის ანგარებასადამყარებულ, იოლი გამდიდრების მანიით შეპყრობილ ადამიანთა მიერ გამოკონებულ წესში.

ძვირფასო ქალებო! მოგმართავთ თხოვნით, მარტო ამ წერილის და რეპორტაჷის კითხვით და მათ ირგვლივ სჯავაბასით ნუ შემოიფარგლებით. ბრძანეთ თქვენი საბოლოო აზრები და დაუყოვნებლივ ამოქმედდით! სამომედეგ ასაპრუზი კი ძალზე დიდია: ეს არის თქვენი საქართველო და ნათესავ-მეზობლების ოჯახები; ეს არის კულტეტივი, სადაც იღვწიან; ეს არის სოფელი და ქალაქი, სადაც ცხოვრობთ; და ბოლოს, ეს არის ჩვენი მშობლიური საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა!

დაე, ჩვენი — ქალების სიტყვა და საქმე ერთი აფილიყოს! იმედი გვაქვს თქვენი გულმხურავლებისა, აქტიური მხარდაჭერისა და თანდაგომისა!

- მეღმა მუხამბიშვილი — პარტიის საგარეკოს რაიკომის პირველი მდივანი;
- ივლიტა მისხიშვილი — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიოაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
- ლუბა ნიბარაძე — ექიმი, სოციალისტური შრომის გმირი;
- ნინო მანანი — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმსავლობის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე;
- ნანია სამხინიშვილი — მანქანებელი, სოციალისტური შრომის გმირი.
- პირა მუხამბიშვილი — მუშა, სოციალისტური შრომის გმირი, სკა ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი.
- თამარ უშუქუნი — ორჯანის სოციალისტური შრომის გმირი;
- ნანია ზალუბაშვილი — პროფესორი;
- ლუბა შიქრულანი — პროფესორი;
- ზუზანა ჩიქოვანი — თბილისის საბაქო მოქალაქე;
- ნინო ჯაბახიშვილი — აკადემიკოსი.



# პოეტის მუხლი და მუხარამი

საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოს გიორგი ლეონიძის შინაარსიანი ცხოვრების თანამგზავრი იყო ერთგული მეუღლე და მეგობარი, მცხეთის რაიონის სოფელ გორგონის მკვიდრი ეფემია გედევანიშვილი, რომელიც თავიანთ სცემდა მოღვაწე ქმარს და ხელს უწყობდა შემოქმედებითს შრომაში.

გოგლამ ეფემია მცხეთაში, დის ოჯახში გაიწინო. ქალიშვილი პოეტის სიძის ნახევარი და იყო და ხშირად დაიარებოდა ძმის ოჯახში. გ. ლეონიძეს გატაცებით შეუყვარდა ეფემია. ქალიშვილიც თანაურგანობდა.

გათხოვებამდე ეფემია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მუშაობდა. ეს მომზობილელი და კულტურული ქალიშვილი საზოგადოებაში დიდ ყურადღებას იქცევდა. განათლებასა და შრომის-მოყვარეობასთან ერთად, იგი ეთავაყვანებოდა ხელოვნებას, რაც ამკობდა და ამალეუბდა მის ღირსებას.

ეფემიამ და გოგლამ ჯვარი დაიწერეს 1921 წელს, თბილისში, სიონის ტაძარში, ქორწილი კი კაფე „ქიმეირონიში“ გააღიხადეს.

ქორწინების წლისთავზე ოჯახს გოგონა

შეეძინა, მას ნესტანი დაარქვეს, ნესტანის თინათინიც მოჰყვა და ოჯახში სიხარული დამკვიდრდა.

პოეტის სტუმართმოყვარე ოჯახის კარი ყოველთვის ღია იყო ნანცობ-მეგობრებისათვის, ცოლი და ქმარი თითქოს ერთმანეთის ციკლებოდნენ მათს გულთბილ შეხვედრაში.

პოეტის ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, სერგო კლდიაშვილი... მოძმე რესპუბლიკებიდან თბილისში ჩამოსული სტუმრები: ნიკოლოზ ტიხონოვი, ვიქტორ გოლცევი, ნიკოლოზ ზაბოლოცი, მიკოლა ბუაჩი, სამედე ვურლუნი და სხვები, რომლებიც დიდად აფასებდნენ ამ სანაქებო ოჯახის მასპინძლებს.

გიორგი ლეონიძის ჩვევად პქონდა: ახალ ლექსს პირველად ოჯახში წაიკითხავდა. მისი პირველი კრიტიკოსიც ყოველთვის მეუღლე იყო. ეფემიაც წერდა ლექსებს, მაგრამ, თუმცა მისი ნაწერები ქმარს მოსწონდა, არ ცდილა მათს გამოქვეყნებას.

1936 წელს გ. ლეონიძემ სიყრმეში დაწერილი ლექსები სათუთად შეკრიბა, გააანერო მოზრდილ რეულში და უძღვნა

ეფემიას. სამუხაროდ, ეს ძვირფასი ხელნაწერი ოჯახიდან დაიკარგა.

ერთხელ პოეტმა მცხეთაში საგანგებოდ წაიყვანა მეგობარი მხატვარი ვ. ჯაფარიძე და დახატვინა სახლი, სადაც ახალგაზრდობის დროს ხედებოდა ეფემიას. სურათს პოეტმა ასეთი წარწერა გაუკეთა: „უფიქრად ჩემს მეგობარ ეფემიას, 1919-1920 წლების სამახსოვროდ და მოსაგონებლად, ჩემს მიერ საგანგებოდ შეკეთილ სურათს. გოგლა. 2 აპრილი 1943 წ.“

ეფემიას თავზარი დასცა საყვარელი ქმრის სიკვდილით. დიდი პოეტის ქვრივი ხშირად ავადმყოფობდა, ნუხდა, შფოთავდა. მალე თვითონაც სამუდამოდ დახუჭა თვალი. ამბობენ, მისი უკანასკნელი სიტყვა გოგლა იყო.

გ. ლეონიძის მეუღლისა და ერთგული მეგობრის, ეფემიას ცხედარი, საკადრისი პატრიტი მიაბარეს პოეტის მშობლიური სოფლის პატარძელის მიწას, სადაც მისმა საყვარელმა გოგლამ ბავშვობის ძვირფასი წლები გაატარა.



# მხატვარი, რესტავრატორი

თონა ასიტაშვილის მხატვრობის ნიჭი პატარაობიდანვე აღმოჩნდა. პატარაობიდანვე შედეო ბ ძნელადის სახეობის პოინტრა და მოსწავლეთა სახაზლის კარა, სადაც თავის პირველ პედაგოგთან, ცნობილ ქართველ მხატვართან გრიგოლ მესხთან ეუფლებოდა ხატვის საიდუმლოებებს. სისტემატურად მონაწილეობდა მოსწავლეთა სამხატვრო გამოფენებში. კონკურსებში და თიშქის უოველთვის წარმატებას აღწევდა სამხატვრო სასწავლებლის დამოაგრებისთანავე თონა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე შედის. — წიგნის გაფორმებისა და ილუსტრაციის სპეციალობის განხრით (პროფ. ი. შარლენანის კლასი).

აკადემიაში სწავლების წლებში მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა ახალგაზრდა შემოქმედმა და პროფესორ ი. შარლენანისა და პროფესორ ვ. კავარაძის რეკომენდაციით საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი გახდა.

შემოქმედებით ასპარეზზე ახალგაზრდულმა მზარდმა მხატვარმა მასვე დაკისრებულ პასუხსაგებ დაკლებას იმთავითვე კარგად გაართვა თავი. ამიტომ შემოხვევითი როლი იყო. როცა თონა ასიტაშვილი აკადემიის დამოაგრების პირველივე დღიდან აქტიურად ჩაება რესტავლაციის სისხლსავე ცხოვრებაში იგი 1960-64 წლებში შემოქმედებით მიღწენაში გაიგზავნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. კერძოდ ღრეზდენის სურათების გალერეაში — მხატვარ-რესტავრატორად იქ მხატვარი მუშაობდა ცნობილი ოსტატების ჰენრიხ შვაგაროსის, ლეა გრუნდიგის და კურტ კერნენის ხელმძღვანელობით.

თონა ასიტაშვილმა არაერთ შედეგს დაუბრუნა „სიკოცხელი“ როგორც ღრეზდენში მუშაობისას, ისე საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

სურათის რესტავრაცია რთული პროფესიაა. „საიუველირო ხელოვნებას ჰგავსო“, წერდა ერთ-ერთი ხელოვნებათმცოდნე. თონა ასიტაშვილი ოქრომედელივით ჩაქირკიტებს ამ ნახატებს და მაქსიმალურად ცდილობს მათ „განუკრინებას“



სარესტავრაციო საქმიანობა დიდ გამოვლილებასა და მადლს საშემსრულებლო ოსტატობას მოიხივს. თ. ასიტაშვილი ამ მხრივ მართლაც რომ ნამდვილი პროფესიონალია. იგი ზედმიწევნით სრულყოფილად ფლობს ამ რთულ საქმეს.

თონა ასიტაშვილი, როგორც შემოქმედი, მარტო მხატვარ-რესტავრატორობით როდი შემოიფარგლება — იგი ნაყოფიერად მუშაობს სახვითი ხელოვნების მრავალ ფანრში. მის მიერ აკურთხული შესრულებული ნაწარმოებები ხასიათდება მხატვრული და დასრულებული კომპოზიციური თხრობით, კოლორიტის ფაქიზი შეგრძნებით, დაკონიურთ გამომსახველი საშუალებებით. იგი კარგად ახერხებს თავისი საოქმედლის გადმოცემას. მხატვარს უნარი გააჩნია ღრმად ჩაწვდეს ბუნების სილამაზეს და მის გაგრძელებასი მოაქციოს ნაყოფიერი. იგი ბევრს მოგზაურობს საქართველოში: სენიეთში, გურიაში, რაჭაში, იყო დაღესტანშიც და მრავალი სურათი მიუძღვნა ამ ულამაზესი კუთხეების სურათების გადმოცემას.

აღსანიშნავია თონა ასიტაშვილის მიერ გაფორმებული ქართული, რუსული და სასაზღვრეპარტული ლიტერატურის ნიმუშებიც (ვაჟა-ფშაველას „შელის ნუკრის ნაამბობი“, „ახიყვია ქორჩილი“, ი. კილოვის

იგავარკები, ვინიჩის „კრახანა“ და ა. შ.).

თონა ასიტაშვილის შემოქმედება ქართული ეროვნული ხასიათისა. იგი მუდამ მიებაშია და ამ თიების გზაზე აღწევს კიდევაც თავის სათქმელს. მისი ხელწერა გამოირჩევილია — ახასიათებს მაღალი პროფესიონალიზმი, საკუთარი მხატვრული სტილი. იგი სამართლიანად ითვლება რესპუბლიკის მხატვარ ქალებს შორის ერთ-ერთ საინტერესო და ნიჭიერ მხატვრად.

სამხატვრო აკადემიის დამოაგრებისთანავე 1959-60 წლებში სრულიად ახალგაზრდა მხატვარი მიიწვიეს შშოპლიურ აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე აკადრატლის პედაგოგად, შემდეგ კი ფერწერის ფაკულტეტზეა, რესტავრაციის სპეციალობის განხრით (დოცენტის თანამდებობაზე) მრავალი მისი აღზრდილი დღეს წარმატებით მოღვაწეობს ჩვენი ხელოვნების სხვადასხვა დარგში.


წლებულ „მხატვრის სახლში“ ეწყობა თონა ასიტაშვილის პერსონალური გამოფენა. იგი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ემსახურება ამ გამოფენისათვის. ვიმდგომებო, რომ გამოფენა დიდ სიხარულს განაცდევინებს მისი ნიჭის თავყენისცემულს.

ქაიხევაძე ახმობაძე,  
ხელოვნებათმცოდნე.





საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს



თარგან სიმბაშვილი

გაგუნიანი



მ. ბუჩუკაძე

დრეზდენი





# ეს სომა ნამდვილი გამირობაა



მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ეს ჩანანერები, მშობლიური სკოლის მატრიანის გასამდიდრებლად რომ ძეგს საქალაქდებში. ჩანანერების ავტორები მისი ყოფილი მოსწავლეები გახლანენ. ნაჲიდნენ, ცხოვრების ურყველ გზას დაადგნენ ისინი, მათი დანერლი, უბრალო სასკოლო თავისუფალი თემები კი მასწავლებლებმა ცოდნის გამოსავლინებლად რომ გამოიკონეს, ყვებან საყვარელი მასწავლებლის საქმიანობაზე, მის პედაგოგიურ ალღოზე. უმეტესობამ საუკეთესო პედაგოგის ეტალონად სწორედ ის — ეთერ ბეგიაშვილი აირჩია.

... ჩემი აზრით ყველაზე კარგი ხანა აღამიანის ცხოვრებაში მონაფეობაა. ეს ხანა ბედნიერად და შინაარსიანად გავგებტრებინა ეთერ მასწავლებელმა. მინდა ვიყო ისეთი, როგორც ის არის. სამართლიანი, მრავალმხრივ განათლებული, თავმდაბალი, აღამიანების მოსიყვარული, თუ საჭიროა, მეაკრი და შეუპოვარე... ის გაკვეთილი რა გაკვეთილია, თუ პედაგოგმა ყველაფერს თავისი ადგილი არ მოუჩინა. უპირველესად მასწავლებელმა პაჲმეტიან საერთო ენა უნდა გამოიხატოს. მაშინ მოსწავლეს შენც ეყვარები და შენი სავანიც. ასეთია ეთერ ბეგიაშვილი. მას არასოდეს არაფერი ეუმრება, ყოველთვის ყველაფრისთვის პოულობს დროს.

ან ის რა პედაგოგია, სკოლაში შეილის ამბის საკითხავად მისულ მშობელს გაუთავებლად უდისციპლინობაზე რომ ესაყვედურება. აბა, შემოიხედეთ მის გაკვეთილზე, ბუზის გაფრენას გაიკონებთ. მის ყოველდღიურ საქმიანობას რომ ვაკვირდები, მიკვირს, როგორ მოხდა. ზოგიერთ პედაგოგს ავტორიტეტი რომ შეელახა, როგორები არიან ნეტავ ისინი? ჩვენთან ასეთი რამ რომ არ შეიძინება? იმასაც კი ამბობენ, აქა-იქ მოსწავლეებისაგან საჩუქრებს ან სხვა რამ გასამრჯელოს იღებენო. აბა, ვინმემ მოსინჯოს და ასეთი რამ ჩვენს სკოლაში გაბედოს. ნახავს, რა დღე დაადგება!.. ნ. ახსაბაძე“.

...როგორი მასწავლებელი მნამს? — ისეთი, როგორებიც ექითი ხიზანოვი და ეთერ ბეგიაშვილია, მიუკერძოებელი, თავისი საგნის უაღრესად მცოდნე. აბა, ისეთმა მასწავლებელმა ჩვენ რა უნდა გვასწავლოს, თავად რომ მოისუსტებს. სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეთებიც გვხვდებიან. ჩემი აზრით, საგნის მასწავლებელი გავყარებს. ჩვენ, მოსწავლეებს დაუსრულებლად შეგვიძლია ვუსმინოთ მას, ვუცქიროთ

მის ტკვიან და აზრიან გამოხედვას. მერე და რამდენ სითბოს და სიყვარულს აფრქვევს ეს მეტყველი თვალები კლასში. მას, თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს, ხომ შეეძლო ფუფუნებაში, ნაყლებთაჲმუნუნებლად ეცხოვრა, მაგრამ როგორც ერთხელ კერძო საუბარში გვიაბო, ჩვენმა ყოველდღიურმა ცხოვრებამ დააინტერესა. მამს რა დააძლევიანება იმ სიძინელებს, რაც ამ ოცდამეორეტიწლის მანძილზე ამ გზაზე სიარულში გადახდინა თავს. დასველებულიც ბევრჯერ ყოფილა, უამრავი შინაური თუ საგარეო საზრუნავით შეწუხებული და თავგაბებრებულიც. ჩვენივეს კი არასოდეს არაფერი უგრძობობინებია. რა დაგაყენებებს მის გამუდმებულ ზრუნვას უწერო ბებიას ანაზარად მიტოვებულ გოგონასათვის, მამა რომ უდროოდ დაეღუპა და დედამ სხვაგან გაიჩინა ოჯახი. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ჩასაცემი-დასახური, მასწავლებლის პირადი დანაზოგით შეძენილი, არც სარჩინ-საბადებელს აკლებდა თურმე; ეს ჩვენ უფრო მოგვიანებით გავიგეთ. როცა გოგონა დაოჯახდა, ის კი ამის შესახებ არა-

რეპორტაჟი

ვისთან არავფიქსირებ ამბობდა, ისე უხეშად და დაუბრუნებლად აკეთებდა ყველაფერს. მივიღიერ სკოლიდან და მიმეყვება სიამაყის გრძნობა, რომ მე ეიერ ბეგიაშვილის მოსწავლე ვიყავი. გმადლობთ, გმადლობთ ყველაფერისათვის, რაც თქვენ მაგრანობით და განმარტყვევით ამ თით წლის მანძილზე. ნ. ჯუღელი“.

